შაბათი, 1918 წ. თებერვლის 10 (23) № 33
წლიწადი მეოთხე

შაბათი 1918 წ. თებერვლის 10 (23) № 33
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 20 კაპ. განცხადება [illegible] სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქმიანი [illegible] ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება [illegible] ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხრებულნი დედა დარია ჩიქვაძისა, მეუღლე მაკრინე ყანჩაველისა, შვილები მარიამ, ანნა, ელენე, მართა, სოლომონ, გრიგოლ, შალვა და პატარა დათა დავითის ასულნი და ძენი ფურცელაძეები, ძმისწულები ვასილ და სიკო ჩიქვაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი და საყვარელი

ნინო ალექსის ასულის

ფურცელაძის

გარდაცვალებას. მიცვალებულს პარასკევს, 9 თებერვალს, წაასვენებენ ქ. გორიდან სოფ. მერეთს, სადაც დაკრძალავენ შაბათს, 10 თებერვალს. (1—1013—1)

შაბათს 10 თებერვალს, საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის

ზაქარია დავითის ძე

იორამიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი შვილი დარო, რძალი ნინო, ძმისწულები ვასო და კატო, მიძაშვილი კოსო მეუღლით ნადირით და სხვანი. 1—1011—1

კვირას, 11 თებერვალს, 12-ნახევარ ს., ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის

მელანია რევაზ ვახვახიშვილის ასულის

და მისი მეუღლის

გიორგი ნიკოლოზის ძის

ვეზირიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები და დები განსვენებული მელანიასი: სვიმონ, ალექსანდრე, დავით, ლევან, კონსტანტინე, ანასტასია ვახვახიშვილები, მარიამ წერეთელი და ნინო პროზოროვისა, სიძეები: მიხეილ წერეთელი და სერგეი ფილიპეს ძე პროზოროვი და რძალი ანასტასია გრიგოლის ასული. (2—1014—1)

სამკურნალო კაბინეთი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის
დოქტორი

გ. გ. მეჯრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის — ჭლექის და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (ს.ი.) სინუსოიდალი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოტორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. თ—986—10

სამკურნალო კაბინეთი

პ. ს.

ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და 4½—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

დოქტორი და აკუშერი
მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა.
იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (პსიხოტერაპია) სამშაბათობით, ოთხ. შაბათ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22. თ—989—10

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის ყურის ყელის და ცხვირის ავადმყოფებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, საღამოს 5-დან 7-მდე.
მისამართი: მადათოვის ქუჩა № 17. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თ—907—2

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა გორის ქუჩა № 6, დიდუბე. 1თ—960—5

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

კოოპერატივებო და კოოპერატორებო,

დაეხმარეთ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
(5—903—4)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

საქართ. ერ.-დემ. პარტიის პირველი უბნის

კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს 10 თებერვალს, საღამოს 5 საათზე ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება

საზოგადო კრება

კრების საგანი: 1) სატაქტიკო საკითხები დღევანდელ მომენტზე, 2) მოხსენება წარსულ კონფერენციაზე და 3) საუბნო კომიტეტის არჩევნები. ამასთანავე კრება ინიშნება მეორედ და ვსთხოვთ ყველა წევრთ აუცილებლად დაესწრონ.

2—2

პირვ. უბნის კომიტეტი.

თავისუფალი კავკასია და ზავი

ბოლშევიკებისგან დაპირებული ზავი „ქცრანი“ გამოდგა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. ცხადია ზავს ვერ შეჰკრავდა ისეთი მთავრობა, რომელიც თვით არის ომის ინსტინქტებით გაჟღენთილი. ასეთია ლენინის მთავრობა. ამ ტირანის თავში ევროპის დიდი ომი მხოლოდ ერთი ეპიზოდი, მხოლოდ შესავალი იყო იმ დიდი სამოქალაქო ომისა, რომლისკენაც ის მოუწოდებდა მთელ ევროპას და ყველაზედ უწინ კი მას, ვისთანაც ის აპირებდა ზავის ჩამოგდებას—გერმანიას. შეკვრა ზავისა და იმ დღესვე სოციალურ რევოლუციის ცეცხლის დანთება აი რაზედ ოცნებობდნენ ბოლშევიკების დიპლომატები. შეეძლო განა გერმანიას, „მეცნიერულ სოციალიზმის“ სამშობლოს ასეთ რამეზე დათანხმება? ქვეყანა, რომელსაც ომის მიზნებიც და სოციალური რევოლუციაც სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე „კაცობრიობის განმანათლებელ“ რუს ბოლშევიკებს—ამაზე ვერ დათანხმდებოდა და ბოლშევიკურ აბდაუბდას ომით გასცა პასუხი. 18 იანვრიდან გერმანია ისევ ომობს რუსეთთან- არის უცნაური მსგავსება რიცხვისა. 18 ივლისს გერმანიამ იმპერატორების რუსეთს პირადად გამოუცხადა ომი. 18 იანვარს იმავე გერმანიამ ბოლშევიკების რუსეთს ხელ-ახლა გამოუცხადა ომი. მაშინ დაეცა იმპერატორების რუსეთი, ეხლა უნდა დაეცეს ბოლშევიკური რუსეთი. ასე სწერია რუსეთის ბედის წიგნი. ავაზაკური ფანტაზია, რომელმაც სისხლში ამოავლო რუსეთის თავისუფლება უნდა დაისაჯოს, თუნდაც დამსჯელებად რუსებისაგან მტრულ ფრონტზე ამოზიდული პრუსიული ხიშტები აღმოჩნდნენ. მაგრამ ამ წამად ახალი ფაქტები მარტო კიევის აღებით არა დაკმაყოფილდებიან. ისინი აიღებენ მთელ უკრაინას და ამას უკვე მოწმობს გერმანიის განცხადება.

კავკასიის მდგომარეობა, რომელსაც ასეთ პირობების გამო რუსეთთან კავშირი ომშია ჩათრეული უარესდება, ოსმალეთის მიერ ერთი თვის წინედ წამოყენებული ზავის სურვილი კავკასიის მთავრობამ ვერ გამოიყენა. ვერ გამოიყენა იმიტომ, რომ კავკასიის მთავრობა კავკასიას ტრადიციულად რუსეთის ნაწილად სთვლიდა და ასეთ პირობებში ზავი სეპარატიული იქნებოდა. ადამიანები, რომლებიც სულ მუდამ რუსეთის ერთ რევოლუციაზე, შეერთებულ დემოკრატიაზე და გაერთიანებულ ფრონტზე ლაპარაკობდნენ, ამას ვერ იზამდნენ—ეს ცხადია. იყო ეს მათი პირადი შეცდომა, თუ შეცდომა გამომდინარე ობიექტიურ პირობებიდან ეს ეხლა სულ ერთია და ნამდვილი დიაგნოზი წარსულს ვერ გამოასწორებს. მაგრამ დღეს უკვე შესაძლებელია სწორე პოლიტიკურ პერსპექტივის მიღება და რუსეთთან ახალი ომის გამოცხადებით კავკასიის დემოკრატიას როგორც ომის აშკარა მოწინააღმდეგეს და ზავის აუცილებელ მომხრეს, სრული უფლება აქვს რუსეთიდან გამოყოფისა. კავკასია, რომელსაც ჰყავს თავისი დამოუკიდებელი მთავრობა, თავისი ფული თავისი სეიმი, რომელიც დღეს იხსნება, უკვე სუვერენული ქვეყანაა. ასევე სუვერენულად რაცხენ მას მეომარი სახელმწიფონი, თუ შევიგნებთ სწორე აზრს ოსმალოს ჯარის სარდლის დეპეშისას და თუ მხედველობაში მივიღებთ ერთ იმ მიზეზთაგანს, რომელმაც ჩაშალა გერმანულ-ბოლშევიკური ზავი და რომელსაც გერმანია ისე ახასიათებს, როგორც უარს ბოლშევიკების მხრივ, რომ რუსეთში მოსახლე ერებმა ისე მოაწყონ თავისი ბედი, როგორც მათ სურთ.

დამოუკიდებელი და არა-სეპარატიული ზავი ოსმალეთთან, რომელიც თავისთავად უკვე აღიარებს კავკასიის სუვერენობას, აი დიდი დღის წესრიგი შეტანილი ჩვენს ცხოვრებაში, რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს მთელი კავკასია.

ზ. ამირეჯიბი.

უკანასკნელი დეპეშები

გერმანელებმა დუინსკი და როვნო დაიპყრეს.

—

ბესარაბია რუმინელების ხელშია.

—

ავსტრიელები რუმინელებს ებრძვიან.

—

ბოლშევიკებმა გერმანელთა საზავო პირობები მიიღეს და ბრესტში დელეგაცია გაგზავნეს.

—

უკრაინაში უფ[illegible] ხაბეოების ხელშია.

—

ვეჰიბ-ფაშა კომი[illegible] ახსენებს ზავის შესახებ სამ[illegible] შეატყობინებს.

—

თბილისში რამდენიმე კონტრ-რევოლუციონერი დატუსაღეს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ირაკლი წერეთელს და არშაკ ზურაბიანცს** ამ დღეებში პეტროგრადიდან მოელიან.

◆ **ფილიპე მახარაძის დაპატიმრება.** ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ თებერვლის 8-ს, დღის 12 საათზე იქ დააპატიმრეს ფილიპე მახარაძე.

◆ **გულშემზარავი ამბავი.** ხუთშაბათს ღამე ქართული კლუბის თეატრის დარბაზში საშინელი დრამა დატრიალდა. ვიღაც ახალგაზრდამ, გვარად სირბილაძემ, რამოდენჯერმე რევოლვერი ესროლა კვეზერელ კოპაძის ასულს, რომელიც მძიმედ იქმნა დაჭრილი. კვეზერელის ასული საჩქაროთ საავადმყოფოში წაიყვანეს. ბოროტმოქმედი სირბილაძე დატუსაღებულ იქმნა.

◆ **ფოსტის დათხოვნილ მოსამსახურეთა მიღება.** საოლქო ცენტრის პრეზიდიუმმა დაადგინა ფოსტისა და ტელეგრაფის ის მოსამსახურენი, რომელნიც ამ რამდენიმე თვის წინად დაითხოვეს, უკანვე იქნენ მიღებულნი თავთავიანთ ადგილებზე და ყველა უფლებები დაუბრუნონ.

სატირალი ქართველ ქალისა

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“

ეს ძვირფასი სიტყვები, ხალხის გულიდგან ამოგლეჯილი მგოსნისაგან და ხალხშივე გადასროლილი, ის სიტყვებია, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობდა ქართველი კაცი თავის მუდმივ ბრძოლაში არსებობისათვის. ეს ის სიტყვებია, რომელიც არას დროს არ ყოფილა ისე შესაბამი ჩვენს ცხოვრებასთან, როგორც დღეს, როდესაც რგოლივით გარს შემორტყმია ჩვენს სამშობლოს უდიდესი განსაცდელი ყოფნა-არყოფნისა და ამავე დროს მისი სიკვდილი თუ სიცოცხლე, მონობა თუ თავისუფლება თვით ქართველ ხალხზეა მიშვებული.

დიახ, არას დროს არ ყოფილა ეს სიტყვები ისე ზედგამოჭრილი ჩვენს ყოფაზე, როგორც დღეს, მაგრამ... ის ქართველი მეომარი, სამშობლოსა თვისი ღალატით ნაძრახ სიცოცხლეს რომ სიკვდილს არჩევდა—საქართველოს ჰყოლია უწინ და სწორეთ დღეს კი აღარსად არის!

ვაი, სირცხვილო! სირცხვილი თქვენდა სამშობლოზე ხელ აღებულნო მეომარნო! მაგრამ სირცხვილი ჩვენც, თქვენსა მშობელთ, ვინაიდგან აგვიზრდიხართ სუსტნი სულითა და ლაჩარნი გულით!

მაგრამ არა, ეს ტყუილია! ეს განწირულების, სასოწარკვეთილების ამოძახილია! ქართველი მეომარი არც სუსტია გულით, არც გულით ლაჩარი! ეს დაამტკიცა მან სანაქებოთ, ბრწყინვალედ! მისი სახელი განთქმულია მთელს ქვეყანაში! მას, როგორც მეომარს, არ ჰყავს ბადალი! ის, გადახვეწილი შორს, შორს, უცხო საზღვრებზე, სხვის სადიდებლად, სხვის დასაცავად „კისკასებდა და იჩენდა სიმარდეს“, სხვათა სამშობლოს სამსხვერპლოზე ეწირებოდა! მაშ ვინ დასწამებს მას სილაჩრეს! ის დიდი მებრძოლია, გმირია დიდი!

ასეთი იყო ის უწინ, ასეთია ის დღესაც და მხოლოდ ვითარება მისი დახშული, ფსიქიკა მისი შეცვლილი და გარდაქმნილია!

დღეს მას მისი განწირული სამშობლოსათვის მოუწოდებს საერთო საყვირი, სასოწარკვეთილი ძახილი მთელი ხალხისა: სამშობლო განსაცდელშია! შემოკრბით, დაირაზმეთ და ჩაუდექით მტერს დასახვედრადო! მაგრამ მას ეს არ ესმის! არც უნდა გაიგონოს!

დღეს სწყდება საკითხი მისი ერის თავისუფლების, თუ მონობისა, მონობისა, როგორც შავბნელი ღამე—მის გულში კი მთლად მოძრულა, მოდუნებულა ცეცხლებრივი ნება მისი მტერზე გამარჯვებისთვის და ის გუშინდელი გმირი დღეს ბავშვების მკვლელად გარდაქცეულა!

რაღა უნდა განიცადოს დღეს ამაზე მწარე ქართველი დედა?! მას მოსტაცეს ლამაზი ფრთები, თვის შვილთა სიამაყით რომ აზეცად აშრიალებდა! დღეს მას ნიშნს უგებენ და დასცინიან!

არა, ზეინაბ! მე მესმის სამშობლოს მოღალატე თათრის წინ შენი მოთქმანი, მაგრამ რამდენადაც შენ მაინც ნაკლებად უბედური იყავ დღეის ქართველ დედაზე!

მრავალჯერ დაუღვრია მას მდუღარე, ცხარე ცრემლები შენს წმიდა, სალოცავ მწუხარების წინაშე, მაგრამ დღევანდელ მის განცდას გადასაცემად კი მომავალ თაობისათვის, შენი ამწერის კალამი იქნებ ხუსტი გამოდგეს.

შენ დასტიროდი შენს ხალხს, მტრის მიმართ რომ ბოღმას გულში იგუბებდა და ჰგმინავდა, დღეს კი ქართველი ფუძე გადაგვარებულა, სამშობლოს მოღალატე, ძმის მკვლელ შვილთ მოსთქვამს!

შენთვის, როგორც ქალისთვის, ორ მებრძოლთა შორის შენი მანდილის გადაგდება იყო საკმარისი, რომ ამოღებული ხმალი წამს ქარქაშში ჩაგებულიყო და დღეს კი ეს გულადი მეომარი — თავისი მოდგმის დედას რომ მოჰკლავს, შვილს გულზედ ჰკლავს! ჰკლავს ბავშვსა, ბავშვს! ამ ხელ-შეუხებელ, უმანკო არსსა! ქრისტეს ამ უსაყვარლეს ყვავილსა!

და ვიგონებ შენს, თათრის წინ ცრემლის ფრქვევით მოთხრობილ საზარელ ამბავსა: გამარჯვებული მოდიოდა სისხლით დამთვრალი ხუნდეიმან... დამაჩოქეს მის წინ ჩვილი ბავშვით ხელში... და ამ დროს ხუნდეიმანის ცხენმა ბავშვს წიხლი ჩაჰკრა თავში!..

აქ კი ხმა გიწყდება, სული გიმძიმდება და საშინელი ამ სურათის მოგონებით ორივენი გაქვავებულნი მხოლოდ-ღა სდუმხართ.

მაგრამ ეს სურათი ვერ ამოსწურავს, ვერ დაჩრდილავს მას, რასაც დღეს ქართველ დედას მოუთხრობენ!

აბა მოისმინეთ და შეადარეთ!

„მოჰკლეს მამა, დაჰკლეს ზედ ცოლი... ისე მშვიდათ, ისე უბრალოდ, როგორც არ დაჰკლავს ქათამს გულჩვილი კაცი. შვილი, თორმეტის წლის ბავშვი, [illegible], გააპარეს მოკლეთ, მეზობელმა გლეხის ქალებმა. მიჰყავთ ის სადგურისაკენ, რომ გადაარჩინონ ნორჩი სიცოცხლე სიკვდილისაგან. გზაზე ხვდებიან მეომრები. ზოგი მათი სოფლისანი არიან, მეზობლები.—სად მიხვალ, გოგოვ! ეკითხებიან ბავშვსა. ისიც უმანკოთ უხსნის თავის უბედურ ამბავსა.

— შენ დარჩი აქ, უპასუხებენ—და თქვენ კი გასწით თქვენი გზით,—უბრძანებენ ქალებსა.

ნდობით გაყოლილი ბავშვი წაიყვანეს... დახვრიტეს და ცოცხალ-მკვდარი საკირეში გადისროლეს!

აი რას ასწერს მნახველი და განმცდელი! და ამ უდიდესი საშინელების, უსაზღვრესი დანაშაულის, უმანკოების და უცოდველობის ასეთი შელახვის წინ მხოლოდ ცისადმი ხელის გაპყრობა და თუ შეიძლება ამ სახიერება დაკარგულთ მოქცევისათვის!

მერე ვინ არის ამის ჩამდენი! ის ბოლშევიკს უწოდებს თავის თავს! ის თვის-ტომობა დედა-ბუდიანად გაჟლეტით იწყებს თავისუფლების, სამართლიანობის დამყარებასა! მას სამშობლო არა აქვს და მისი ხსენებაც მისთვის ფუჭია! მას არ ესმის მისი [illegible] განსაცდელი, გონება სხვაგვარად ზომავს და სხვაგვარად სჯის! მისი გადაგვარებული გული სხვანაირად გრძნობს და სხვანაირად განიცდის! მშობელი დედის კვნესა მას ოდნავაც არ ეხება, მისი მამოძრავებელი არც ერთი ძარღვი არა თრთის მისთვის, ის მთლად გაქვავებულია თავისი სამშობლოსათვის!

სამშობლოს მტრის დახვედრის მაგიერ, ძმა-მეომარნი ერთი მეორეზე ამხედრდა! ჰხოცავენ ერთმანეთს მეზობლები, ერთს პურსა და ღვინოში მყოფნი გუშინ! ერთად რომ ეზიდებოდნენ მონობის [illegible]; ერთად რომ იმუშავებდნენ სამშობლოს მიწას; ერთის „ურმულით“ რომ დაღიღინებდნენ; ერთის ბულბულის გალობით რომ სტკბებოდნენ; ერთის წყაროთი რომ იგრილებდნენ მუშაობით გახურებულ გულმკერდს, ერთის ადგილებით რომ უმზერდნენ აყვავებულ ველ-მინდორს, და ერთის ლოცვით რომ უკმევდნენ გუნდრუკს ყველა ამის გამჩენსა!

დღეს კი ჰღუპავენ ყველა ამას, ანადგურებენ სამშობლოს. ასის წლის მონობის შემდეგ ქართველი ერი თავისუფლებას ასე დახვდა!

და აი ასეთი შვილების წინ მოუხმობენ ქართველ დედას! მიაგონებენ მას წარსულ დედათა ღვაწლს ერისადმი და მოუწოდებენ, რომ გაუღვივოს გულში ქართველ მეომარს ცეცხლი სამშობლოს თავდადებისათვის!

და არ კი იციან, თუ რა ტრაგიზმს განიცდის დღეს ქართველი დედა! გულ-დამწვარი მამულიშვილი იგონებს მას თავის მოწინავეების დროს, თუ როგორ განსხვავებული პირობებში იყვნენ წარსული და აწმყო ქალი.

წარსულში ქართველი ქალის ერი წარმოადგენდა ერთს ერთეულს. ის არ იყო დაყოფილი პარტიებად; ბოლშევიკებად და მენშევიკებად. იყო ერთი მტერი და მის პირდაპირ ერთი ერი. როდესაც ერი გამოჰყოფდა ლაჩარ შვილებს, ქართველ ქალს მაშინ ჰქონდა თვისი დიდი ასპარეზი! ის მაშინ აღიმაღლებდა თავის გავლენიან ხმას და მოუწოდებდა მათ—ან დახოცილიყვნენ, ან დაბრუნებულიყვნენ გამარჯვებულნი. და ეს ასეც ხდებოდა.

დღეს სულ სხვა არის მისი მდგომარეობა. დღეს მისი სულის გამწარება ასეთ დროს, ასეთ საბედისწერო ჟამს მისი ერის დანაწილება, დაყოფა, სამშობლოს დახსნისათვის ამა თუ იმ საშუალება-ღონისძიებაზეც-კი.

როგორც უნდა მოიქცეს ამ დროს ქართველი ქალი? ვინ უნდა აღაფრთოვანოს მან სამშობლოს დაცვის უდიდეს გრძნობაში? ქმარს მიმართოს? ის ბოლშევიკია, მის რწმენაში სამშობლო სხვა სახით არის ჩასახული. შვილს? ის მენშევიკია, მასაც მოეპოვება მისთვის საწინააღმდეგო რამ სათქმელი! ძმას? ის კიდევ ეროვნულ-დემოკრატია, მაგრამ ამავე დაყოფა-დანაწილებით თავის თავად ისიც უძლურია.

მაშ სად არის ხსნა ქართველ ქალისა? როგორ მოიქცეს ის ამ დაქუცმაცებულ ერს, როგორ შეაკოწიწოს მისი დაშლილი სხეული? რა საშუალებით გამსჭვალოს ის ერთის გრძნობით და ერთის ზრახვით?

ჟანნა დ'არკი? მომაგონებთ თქვენ. მაგრამ ისიც ხომ ერთის გრძნობით გამსჭვალულ ჯარს ამხნევებდა და მტერზედ გამარჯვებისთვის!

ზეინაბის სამშობლოს ჰყავდნენ ოთარ-ბეგნი, მაგრამ მას შეეძლო ოთარში მხოლოდ მიყუჩებული, უდიდესი გრძნობის გაღვიძება, განცხოველება და აწინდელი ქართველი დედის ფანატიკოსებად ქცეულ შვილთ კი ის ვერ გამოაფხიზლებს! რას დააჯერებს ეხლა რუსის ქალი, თუნდ ჟანნა დ'არკიც, ფანატიკოს ლენინს? ის თვით ჟანნა დარკია თვისის რწმენით და საშინელი გატაცების უმაღლეს წერტილამდე ასულია. და დღეს ხომ დიდი ნაწილი საქართველოს შვილთა იგივე ლენინია, თუნდ პატარა საზომით.

და აი სად არის ქართველი ქალის დღევანდელი ტრაგიზმი!

მაგრამ ცხადია, რომ ყოველ დროს ისტორიაში თვისი სახე ჰქონია. და თუ ერთს დროს ჟანნა დარკებს და ზეინაბებს ჰქონდათ სარბიელი, დღეს ქართველ ქალს ანტიგონის თავგანწირვა-ღა თუ დარჩენია.

ჩვენი მშვენიერი სამშობლოს, ჩვენი ტკბილი დედის ხსნა დღეს იმ ძალაშია, რომელსაც ჰქმნის უკანასკნელი გასაჭირი და ეს გასაჭირი კი აგერ კარზე გვადგია. მე არ ვკარგავ იმედსა! წინაპართა საფლავები იძვრიან, მათი აჩრდილნი თავს დაგვტრიალებენ! მე მრწამს უკანასკნელ ჟამს ერის გარდაქმნა! მისი შერყვნილი შვილის გონს მოსვლა და გამოფხიზლება! მაშინ ის მოევლინება თავის სამშობლოს მის დამხსნელ გმირად!

და თუ ქართველ ქალს არ ასცდება ანტიგონას მწარე ხვედრი, მაშინ ის თავდადებულთ სისხლის დენას ღირსეულად უნდა შეხვდეს! დღეს მხოლოდ ამაში გამოიხატება მისი დიდი ღვაწლი და თავგანწირვაც.

და ასეთი ღვაწლისთვის, ამის მზადებისთვის მოვუწოდებ მე ქართველ დედას!

ნინო ყიფიანი.

მიწის საკითხი

საადგილ-მამულო კომიტეტების სხდომები

1918 წ. თებერვლის 2-ს დაიწყო ტფილისის გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტების სხდომები. საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ ი. მოლუაშვილმა:

საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობა შესდგა დროებით ორგანოს სახით გასული წლის ნოემბერში საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტის საერთო სხდომაზე. ამ სხდომაზე არ იყო მთელი გუბერნიის სრული წარმომადგენლობა. მხოლოდ 5 მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტებმა გამოგზავნეს თავისი წარმომადგენლები. თბილისის, დუშეთის და ბორჩალოს საადგილ-მამულო კომიტეტები მაშინ შემდგარი არ იყო; ახალციხის კომიტეტის წევრთა არჩევნები კი ხელ-ახლა უნდა მომხდარიყო. დუშეთის სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი შესდგა 20 დეკემბერს, თბილისის—21 დეკემბერს და ბორჩალოსა კი—15 იანვარს. ჩამოთვლილ სამაზრო კომიტეტებს გარდა მოეწყო 2 საუბნო საადგილ-მამულო კომიტეტი: ცხინვალის და ყვარელის.

საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობა შეეკითხა გუბერნიის ყველა კომიტეტებს თუ რამდენი დაუმუშავებელი მიწებია გუბერნიაში დარჩენილი და წინადადება მისცა მათ, რომ ყველა ეს მიწები აიღონ თავის ხელში დასამუშავებლათ. პასუხი ჯერ არსაიდან არ მოსულა.

თანახმად ნოემბრის საერთო სხდომის დადგენილებისა, ნება ეძლევა აგრონომიულ და სასურსათო ორგანიზაციებს, ტყის მცველებს და საადგილ-მამულო ფონდების გამგეთ იყოლიონ თავისი წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებით საგუბერნიო და აგრეთვე ყველა საადგილ-მამულო კომიტეტებში.

სტატისტიკურ კომისიის წარმომადგენელნი კომიტეტში არ გამოცხადდნენ.

საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ წინადადება მისცა ყველა ბანკებს და სასამართლოს ბოქაულებს აღნიშნულ გამგეობის ნება-დაურთველათ არავის არ მისცენ ნება მამულების ტორგში ყიდვა-გაყიდვისა. გამგეობამ დაადგინა ყოველთვის ასეთ შემთხვევაში მიმართოს ადგილობრივ უმაღლეს მთავრობას და თუ გასაყიდი ადგილ-მამული მცხოვრებთათვის საჭირო აღმოჩნდა, აიღოს ის თავის ხელში მცხოვრებთა შორის სამართლიანათ გასანაწილებლათ. მაგ. ამასთანავე შუამდგომლობა იყო აღძრული სიღნაღის მაზრაში მდებარე თავ. ანდრონიკოვის მიწების შესახებ.

საგუბერნიო გამგეობას ხშირად მიმართავდნენ მიწის ყიდვა-დაგირავების შესახებ და გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, ისიც ხშირათ აძლევდა ამის ნებას. ახლა კი აღძრულია ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა მიწის ყიდვა-დაგირავების სრულიად აკრძალვის შესახებ.

გამგეობას სწამს, რომ მიწის საკითხის გადაჭრის დაგვიანება ნიადაგს უმზადებს არა სასურველ მოვლენებს. ამ მხრივ ტყის საქმე უარეს მდგომარეობაშია, რადგან მას განაგებს მთელი რიგი ცალკე პირების და ორგანიზაციებისა, რომელთა ფუნქციები და უფლებები განუსაზღვრელია.

თავის არსებობის განმავლობაში საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობამ მოაწესრიგა მთელი რიგი საქმეებისა მიწების დაყოფის, ტყით სარგებლობის და სხვ. შესახებ.

გამგეობას ამ ჟამათ ფულათ აქვს 61230 მანეთი. ამ თანხიდან საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტის საჭიროებისათვის გადადებულია 12028 მან. სამაზრო კომიტეტებისათვის—20915. სულ განაწილებულია 39943 მ.

გამგეობის ანგარიში ცნობათ იქნა მიღებული.

დუშეთის საადგილ-მამულო კომიტეტი.

დუშეთის საადგილ-მამულო გამგეობის წარმომადგენელი ამბობს, რომ იქ საადგილ-მამულო კომიტეტი ახლად დაარსებულია. მას არ ჰქონდა საშუალებები, რომ ეწარმოებია ფართო საორგანიზაციო მუშაობა. კომიტეტში 40-მდის განცხადება შემოსულა, რომლებიც უმთავრესს ნაწილათ მიწით სარგებლობის საკითხს ეხებოდა. თავიდანვე გლეხები მიწის საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებიდან მოელოდენ. მაგრამ, როდესაც დამფ. კრება გარეკილ იქმნა, გლეხებს მეტი ცდა არ შეეძლოთ. თუ მიწის საკითხი საჩქაროთ არ იქნა გადაწყვეტილი, მაშინ გლეხობა თვითონ იკისრებს საკითხის გადაჭრას მომავალ გაზაფხულზე. კერძო მესაკუთრეთა მიწის რაოდენობა გამოურკვეველია. ფაქტიურად ყველა ასეთი მიწა გლეხების ხელშია, რომლებიც კიდეც ამუშავებენ მას. მემამულეებს აჩნიათ მხოლოდ სამუშაო ნორმა. გლეხებში ხშირათ ხდება შეტაკებები. ხშირათ გლეხები არ იხდიან საიჯარო გადასახადს, განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს მთებში. ადმინისტრაცია ვერ ატანს ძალას საიჯარო გადასახადის ახდევინებათ. ასეთ საკითხებს უმეტეს ნაწილათ თვით გლეხები სჭრიან თავისი ნებით: სხვილ მემამულეებს სრულებით არაფერს აძლევენ, წვრილებს კი მხოლოდ ნაწილს, მათი მატერიალურ მდგომარეობის მიხედვით. ზამთრობით გლეხები თვით იცავდენ ტყეებს, მაგრამ დადგა თუ არა ზამთარი მათ დაიწყეს ტყეების ჩეხვა, სჭრიან როგორც სახაზინო, ისე კერძო მესაკუთრეთა ტყეებს. დაბრუნებულ ჯარისკაცების მიერ შემოტანილი ბოლშევიკური სული თანდათან ხელს უწყობს ანარქისტულ მოძრაობას.

თელავის საადგილ-მამულო კომიტეტი

თელავის სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი სექტემბერში დაარსდა და ყოველმხრივ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა. შეთანხმების ნიადაგზე კომიტეტმა შესძლო ბევრი საჭირ-ბოროტო საკითხები გადაეჭრა, რაც უმთავრესად კერძო საკუთრებას და მიწათ-მფლობელობას შეეხებოდა, გლეხები მემამულეების ყველა მიწებს ამუშავებენ; მაგრამ აქვე აცხადებენ, რომ თუ მათ მიერ დამუშავებული მიწები კანონით ჩამორთმეული არ იქნება, მაშინ ისინი ხვედრ ფულს გადაიხდიან მესაკუთრის სასარგებლოთ. კახეთში დაუმუშავებელი მიწა სრულიად არ არის. ადგილობრივ და მოსულ მცხოვრებთა შორის არავითარ შუღლ-შემოსვლას ადგილი არ ჰქონია, იყო ისეთი მაგალითებიც, როდესაც გლეხები თვითონ აძლევდნენ მიწას უმიწო-წყლო მეზობლებს. სოფლის მუშები, რომლებიც მევენახეობას მისდევენ მიწებს არ თხოულობენ. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მიწის საკითხის გარშემო არავითარ ექსცესებს ადგილი არა აქვს.

თავად-აზნაურობის თითქმის ყველა ტყეები საადგილ-მამულო კომიტეტის ხელშია. მაგრამ ამასთანავე არის მაგალითები, როდესაც ზოგიერთი სოფლები ითვისებენ მეზობელ სოფლის ტყეებს. ასეთ მოვლენას კომიტეტი ენერგიულათ ებრძვის, ვინაიდან ტყეების დანაწილების დროს მდიდარი გლეხები გასაყიდათ სჭრიან ტყეებს. სახაზინო ტყეების ჩეხვას ადგილი არ ჰქონია, თუმცა თანდათან ძლიერდება შინ დაბრუნებულ ჯარისკაცების ამ მხრივ მიმართული აგიტაცია. კერძო მესაკუთრეთა ტყეების ჩეხვა სწარმოებს; ტყეებს სჭრიან მეზობელ სოფლების გლეხები. ტყის გაჩეხვის რამდენიმე მაგალითი იყო აგრეთვე საუფლისწულო მამულებში, მაგრამ გლეხთა სასარგებლოთ განსაზღვრულ ნაწილის გამოყოფის შემდეგ კონფლიქტები თავიდან აშორებულ იქნა. ტყის მეპატრონეები კომიტეტის ნება-დაურთველათ ტყეებს არ სჭრიან.

გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილების თანახმათ ტყეებით სარგებლობისათვის გადასახადი შეაქვთ დეპოზიტების სახით: პირდაპირ მეპატრონეებს გადასახადი არ ეძლევათ. აღმ. კომიტეტმა შეიმუშავა სატყეო მასალის განსაკუთრებული ნიხრი, რომლის თანახმათ ხდება მასალის გაცემა. გლეხები გადასახადის წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ ითხოვენ გადასახადს ყველა თანასწორათ იხდიდეს. შეხლა-შემოხლა ხდება ტყეების უფასოთ გაცემის ნიადაგზე: უფასოთ სატყეო მასალები უმთავრესათ სახაზინო გლეხებს ეძლევათ. გლეხები მოითხოვენ წვრილ მესაკუთრეთა ტყეების ჩამორთმევასაც. გასაყიდათ ტყის ჩეხვა კომიტეტის მიერ სასტიკათ აკრძალულია. ქალაქთა და დაწესებულებათა სათბობ მასალით უზრუნველსაყოფათ საადგილ-მამულო კომიტეტი სპეციალურ ნებართვას იძლევა.

(შემდეგი იქნება).

კორესპონდენცია

ქისტების აბრაგობა

ხევი (საქართ. სამხედრო გზა). სასიამოვნო ამბებს ვერასა გწერთ დღეს ერთია და ჩვენს ხალხს ზედიზედ ატყდება ახალ-ახალი უბედურობა. დღეს 1-ს თებერვალს სოფ. სიონში მიწას მივაბარეთ ჯერ ისევ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა 28 წლის ყმაწვილი კაცი, ვასილი ივანეს ძე კვირიკაშვილი, რომელიც იანვრის 18 ში გზად მიმდინარე სოფ. ჯაშბაშში (თბილისის ბოლოზე) თათრებს თოფით მოუკლავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოახერხეს მისი გაძარცვა. ეს ვასილი კვირიკაშვილი თავისი ოთხი ამხანაგით ნიკოლოზ ვარძუკაშვილით, ვასილი სამეკაშვილით, კოტე ფირანიშვილით და სანდრო ქავთარაშვილით ოთხის ფურგონით კავკასიის ფრონტიდან მოდიოდნენ შინისკენ. ამ ფურგონებზედ დალაგებული ჰქონდათ ამ სამი წლის ტრანსპორტზედ ნამუშევარი და ნაამაგარი ნავაჭრი საქონელი, აგრეთვე 39 თოფი (ვინტოვკა) და 3000 პატრონი. თოფები და პატრონები ყიზლარში მყოფ მეცხვარეებისთვის ქისტების საწინააღმდეგოდ თავდაცვისათვის მიჰქონდათ. როდესაც მოსულან სოფ. ჯაშბაშში საათის სამზედ აუტეხნიათ ადგილობრივ თათრებს სროლა, შეიარაღებულ მოხევეებსაც სროლითვე უპასუხნიათ. ამ სროლის დროს შემთხვევით მოსწყვეტია რაღაც ტყვიის-მფრქვეველის რაზმი, ეს უკანასკნელნი მოხევეებს მიეშველებიან. სოფლელი თათრები მომეტებული ნაწილი დაზიანებულა. მათ თავიანთი მხრით იმსხვერპლეს ზემოხსენებული ვასილ კვირიკაშვილი და ორი სხვა ჯარისკაცი. შემდეგ მოხევეებს მიცვალებულის წამოსვენებით და ქ. თბილისისკენ გამგზავრებულან, გზაში აღარაფერი შემთხვევიათ. მაგრამ როდესაც ქალაქ თბილისში მოსულან 23 იანვარს თათრის მეიდანზედ, საათის სამზე, თავს დასხმიან ერთი უბრალო და უთვალავი ბრბო თათრისა და თათრისავე მილიციონერების დახმარებით ოთხივე ფურგონი აუკლიათ და თუ რამე სარჩო-საბადებელი ჰქონიათ მთლად თათრის ბრბოს გაუნაწილებიათ. ასე, რომ მიცვალებული ქვეშ ჩამოუგდიათ და მისი ტანისამოსიც კი გაუძარცვავთ. საკვირველი ის იყო, რომ ამ ძარცვა-გლეჯაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქალაქის დამცველი თათრის მილიციის ერთი ჯგუფი. თუმცა ტელეფონით თავის დროზედ აცნობეს თბილისის კომისარიატის წარმომადგენლებს, მაგრამ გაძარცვა ისე სწრაფად მოხდა, რომ ამ უკანასკნელთ ვეღარაფერი გადაარჩინეს. ზარალი 60 ათას მანეთს აღემატება, ოქმი შემდგარა, და არ ვიცით, ამისი შემდეგ რა იქნება!.. ეს ქონება ეკუთვნოდა მოკლულს ვასილ კვირიკაშვილს და ნიკოლოზ სუჯაშვილსა. საზოგადოთ ვასილი კვირიკაშვილი იყო ხალხის საყვარელი შვილი, დამთავრებული სკოლის და ეკლესიისა და გაჭირვებაში ხელის გამმართველი თანამოძმეებისა. ასეთივე დღე დამართეს ჯარიდან ქისტებმა ძაუგის (კავკავის) გზით შინისკენ მიმავალს სოფ. არშაში მცხოვრებლებს მოხევე გაბო ივანეს ძე ბესაჯანაშვილს, ხელობით მეჭურჭლე; ძაუგიდან მესამე ვერსზედ 4 შეიარაღებული ქისტი თავს დასხმია იანვრის უკანასკნელს რიცხვებში და გაძარცვა დაუპირებია. ამან იუკადრისა და რევოლვერით ქისტებს სროლა აუტეხა. როგორც შემდეგში გამოირკვა ერთი ავაზაკთაგანი დაუჭრია. სამაგიეროდ ქისტებმაც [illegible] თოფით მისთვის გული გაუგმირიათ.

საზოგადოდ ჩვენის მთის ხალხის მდგომარეობა მეტად აუტანელი არის; ხევ-მთიულეთს გარდა წყლისა მთაში არა გააჩნია-რა; ყოველი საზრდო შორის წასვლით და მოძრაობით უნდა შეიძინოს. ამ ჟამად მილიონ ნახევარი ცხვარი თერგის ოლქში იმყოფება მთის მკვიდრთა მსაზრდოებელი, თუ ასე გასტანა ქისტების თავხედობამ გაზაფხულზედ ერთი ცხვარიც არ დაბრუნდება შინა. შვიდი-რვა ბინა ჩაჩან-ქისტებმა უკვე გაძარცვეს და 51 ათასი სული ცხვარი ნაძალადევით წაიყვანეს, ას-ზედ მეტი ცხენის ჯოგი და შებმული ურმებიც გარეკეს, 4 [illegible] მოჰკლეს და მწყემსები ყოველ კვირას ცარიელის ჯოხებით და ძაღლებით შინ მოდიან. ეს ამბები ჩვენგან დაწვრილებით რუსულს გაზ. „ტერსკი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილი იყო. ამას უარის არავინა ჰყოფნია, არც ვინ პასუხი გამცა, მაგრამ თბილისში კი, როდესაც 9—10 და 11 იანვარს დელეგატად ვიყავით და იარაღსაცა ვსთხოვდით თავის დასაცველად, ზოგმა ჩვენთაგანმა (ქართველებმა) ეჭვის თვალით შემოგვხედეს და გაზვიადებულად ჩასთვალეს. ასე მიპასუხებდნენ: თქვენ და ქისტები ძმურად უნდა სცხოვრობდეთ.

მე ქისტებში დიდი დრო გამიტარებია, თერგის ოლქი ცხვარით მოვლილი მაქვს, და მეტი არ იქნება, რომ ორიოდე სიტყვა თერგის ოლქში მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებების შესახებ ადგილი დაუთმოთ. ამ ოლქში მცხოვრებნი არიან: ყაზახნი, ჩერქეზნი, ოსნი, კუმუხნი, ნოღონი, რუსნი და აქაიქ გერმანიის ახალშენები, მაგრამ არც ერთი ერისაგან ჩვენი ცხვარ-მეცხვარე ისე შეწუხებული და დაზარალებული არ არის, როგორც ქისტისა და ჩაჩნის გან. ყაზახებთან მათ მეტოქეობა რომ სულ თავი დავანებოთ, ყაზახობა თვითონაც ავაზაკად ჩავსთვალოთ, მაინც და მაინც ეს აღნიშნული ჩაჩან-ქისტები არავისთან პატიოსნობით არა ცხოვრობენ, არც თავის ერთ-მორწმუნე მუსულმან ოსებს, ჩერქეზს, კუმუხებს და ნოღოებს აძლევენ მოსვენებას. ამათი ცხენის ჯოგები ქისტ-ჩაჩნებისაგან არის აკლებული და ოჯახები აოხრებული. ყველა, გარდა ქისტ-ჩაჩნებისა, მუსულმანი ერები [illegible] ბრძოლად სცხოვრობენ [illegible] მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა და მოწყალეობა არსებობს ნოღოებს, კუმუხებს, ჩერქეზებს, ოსებს, ლეკებს და ყაზახებს შორის. თვით ქალაქი ყიზლიარი ვენახებით სცხოვრობს. ყიზლიარის გარშემო ყაზახის სოფლები, რომლებიც მევენახეობას მისდევენ, ბაღოსნობას აწარმოებენ ლეკის და ნოღოის მუშა ხელით. ამიტომაც თერგს გაღმა სოფლებში, ყაზახობაში თუ სომხობაში მთლად თათრული ენა არის გავრცელებული, გ. ი. კუმუხის ენა. სადაც კი ქისტი და ჩაჩანი არა სწვდება, იქ ჯოგი თუ საქონელი უშიშრად და უწყემსოდ გამოშვებული ჰყავთ. მაგრამ სუნჯის, გროზნოს, ვედენოს და ნაზრანის მაზრებში კი, სადაც მკვიდრობენ ჩაჩან-ქისტები, იქ თვალზედ ძილი არავის ეკარება; ცალის ხელით ყველა ხალხს გუთანი უჭირავს და ცალის ხელით თოფი. ჩაჩან-ქისტი არც თვითონ მუშაობს, მხნე და პატიოსანის ოფლით და არც სხვა მშრომელ ხალხს აძლევს მოსვენებას. ჩაჩან-ქისტებში მშრომელ ხალხებად ის თვლება, ვისაც ცარცვა-გლეჯის და ტყვეობის თავი არა აქვს. ჩაჩან-ქისტებზედ არ ითქმის ისე რომ მიწა ცოტა და უნაყოფო აქვსთ, პირიქით, საუკეთესო მიწა (გარდა ყაზახებისა) ამათ უჭირავთ ხელში. მაგრამ სიმინდის მეტს ვერც სხვა მოსავლის მოყვანას არ მისდევენ. სიმინდი ბევრი მოსდის, შინაურ საჭიროებასაც აკმაყოფილებენ და ბაზარზედაც გასაყიდად შემოაქვს ძაუგში, გროზნოში და [illegible] გზითაც ბევრს ისტუმრებენ სხვა და სხვა ადგილებში.

ახლა იკითხავთ, თუ მხნეობა არა აქვს ჩაჩან-ქისტსა, მაშ სიმინდი რითი მოჰყავს? ამის პასუხს მოგახსენებთ: ქისტი მარტო მოხნავს და დათესავს, დანარჩენს მუშაობას სიმინდისას სულ ქალები, ყმაწვილები და ვისაც ავაზაკობა მხცოვანების მიზეზით არ შეუძლიან, ისინი აკეთებენ. რაც შეეხება იმასაც, რომ ზოგიერთი ამტკიცებს ამ გაუმაძღრობას, ვითომც და ყაზახობას ჩაჩან-ქისტების მიწა-წყალზე არის დასახლებული და იმის გამო აქვს ერთმანეთში მტრობა. ეს ასეც უნდა იყოს და ჩვენც ვეთანხმებით ამ აზრს, მაგრამ ეს ქართველები ხომ მათ [illegible] ვართ?! ჩვენ, ხევსურები, მთიულ-გუდამაყრელები და მთის ოსები [illegible] ხომ ჩვენს მამა-პაპეულს მიწა-წყალზე ვცხოვრობთ, მაშ ჩვენს რაღას უნდა მივაწეროთ ჩვენდამი მტრობა და ძარცვა? ჩვენს მოსწრებაში 30-დე კაცი მთიულ-მოხევე და ოსი იმსხვერპლეს და დატყვევებულს ჯოგსა და ცხვარს ხომ კალამი ვეღარ აწერს! თუ იმას იტყვის ვინმე, რომ ამგვარი თავგასულობა რევოლუციური მოსაზრებით არისო,—არც ეგ იქნება მართალი, იმიტომ, რომ რევოლუციური [illegible] შეწუხებულ მეზობლებთან, [illegible] და უძლურებთან და ისიც უიარაღებულ, არსად და არავისთან არ შეიძლება. პოლიტიკა და რევოლუცია ქისტ-ჩაჩნებს არ ესმით; გარდა გაიძვერების ზელიმხანისა ამ [illegible] ხმაც არავის ამოუღია და ეს პატიოსანი აბრეგი ახლა ფულზედ ჩაჩნებს [illegible].

ამ ჟამად დაღესტნის ხელმა ქისტებმა [illegible] განთავისუფლეს. [illegible] საკანონმდებლო და გზა [illegible] კაპიტნის [illegible] მეთაურობით და გზაზედ [illegible] ჯერ-ჯერობით სრულიად ჰყოფნის, მაგრამ გროზნის გუბერნიიდან ცხვრიდან ... გარდაჩეხილი 12 გუშაგმა [illegible] და 9 [illegible] მეცხვარეები ცარიელის ჯოხებით შინ მოვიდნენ ამ ერის [illegible], ცხვარი, ცხენები და ურმები, აგრეთვე ტანსაცმელი და ფული სულ ჩაჩნებს წაურთმევიათ. ასე იქცევიან ჩვენი ძმა-კაცი ჩაჩან-ქისტები.

კალმის წვერა.

რედაქტორი [illegible] მაჩაბელი

კალენდარი

შაბათი, თებერვლის 10

ქართვ. წმ. მოწ. ხარლამპისა.
კათოლ. წმ. სქოლასტიკისა და ირინესი.
სომეხ. თეოდორე მოციქულისა და სანდუხტ ქალწულისა.
მაჰმად. შაბან 11 რ. ჯემადულ-ულისა 1336 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ. შაბათ 11 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმ.

„[illegible]“ [illegible] გამოცემის შენობაში № 4.